საჯარო სამართლის იურიდიული პირი
**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**
**მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი**

**ბრძანება**

N 1015-03
31.07.2024

ქ. თბილისი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამაზე ,,მუსიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველ პირთათვის შიდასაუნივერსიტეტო შემოქმედებით ტურზე განაცხადის შემოტანის ვადებისა და პირობების განსაზღვრის შესახებ**

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის No134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის" მე-$6^1$ მუხლის საფუძველზე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2024 წლის 26 ივლისის N 996-03 ბრძანების და რექტორის 2024 წლის 18 აპრილის N757-03 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის „მუსიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" შემოქმედებითი ტურის დებულების" გათვალისწინებით

**ვბრძანებ**

1. 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამაზე ,,მუსიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" გარე მობილობის ფარგლებში ჩარიცხვის მსურველი პირთათვის შიდასაუნივერსიტეტო შემოქმედებით ტურზე ელექტრონული რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2024 წლის 21 აგვისტოდან 2024 წლის 26 აგვისტოს 18:00 საათამდე. შემოქმედებით ტურზე რეგისტრაცია შესაძლებელი იქნება შემდეგ ბმულზე: https://forms.gle/gt2wNsoDwtH1Qa1WA

2. ელექტრონული რეგისტრაციისას განაცხადთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში - პასპორტის (ან პირადობის მოწმობის) სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი;
3. იმ შემთხვევაში თუ მობილობის მსურველი შშმ ან/და სსსმ პირია და საჭიროებს სპეციფიკურ საგამოცდო გარემოს, აღნიშნული უნდა მიუთითოს განცხადებაში და წარმოადგინოს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი (სათანადო ცნობა).
4. შემოქმედებითი ტური ჩატარდება ამ ბრძანების დანართში მოცემული პირობების შესაბამისად;
5. შიდასაუნივერსიტეტო შემოქმედებითი ტურის ჩატარების ზუსტი დროის შესახებ ინფორმაცია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე განათავსდეს არაუგვიანეს 2024 წლის 26 აგვისტოსი მხოლოდ უნიკალური საიდენტიფიკაციო კოდისა და შესაბამისი ინფორმაციის მითითებით;
6. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე შემოქმედებითი ტური საბაკალავრო პროგრამაზე ,,მუსიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" ჩატარდეს 2024 წლის 27 და 28 აგვისტოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის D კორპუსის, 405 აუდიტორიაში;
7. შემოქმედებითი ტურის პირველადი შედეგები უნივერსიტეტის ვებგვერდზე ერთი თვის ვადით განთავსდეს არაუგვიანდეს 29 აგვისტოს 18:00 საათისა,მხოლოდ უნიკალური საიდენტიფიკაციო კოდისა და მიღებული შედეგის მითითებით;

8. შიდასაუნივერსიტეტო შემოქმედებითი ტურის შედეგებთან დაკავშირებით სააპელაციო განაცხადების მიღება იწარმოებს 2024 წლის 29 აგვისტოს 18:00 საათიდან 1-ელი სექტემბრის 23:59 საათამდე შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: tour.music@iliauni.edu.ge
9. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე შიდასაუნივერსიტეტო შემოქმედებითი ტურის სააპელაციო გამოცდა ჩატარდება 3 სექტემბერს 15:00 საათზე უნივერსიტეტის D კორპუსში, ოთახი N405. გამოცდის შესახებ უნივერსიტეტის ვებგვერდზე ინფორმაცია განთავსება არაუგვიანეს 2024 წლის 2 სექტემბერს მხოლოდ უნიკალური საიდენტიფიკაციო კოდის მითითებით;
10. შიდასაუნივერსიტეტო შემოქმედებითი ტურის საბოლოო შედეგები უნივერსიტეტის ვებ გვერდზე განთავსდეს ერთი თვის ვადით არაუგვიანეს 2024 წლის 3 სექტემბრის 20:00 საათისა მხოლოდ უნიკალური საიდენტიფიკაციო კოდის მითითებით;
11. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამაზე: ,,მუსიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" გარე მობილობა ხორციელდება შიდასაუნივერსიტეტო შემოქმედებით ტურში მიღებული შედეგების მიხედვით/გათვალისწინებით;
12. 2024 წლის 20 აგვისტომდე გამოიცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საბაკალავრო პროგრამის ,,მუსიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" შიდასაუნივერსიტეტო შემოქმედებითი ტურის შემფასებელი და სააპელაციო კომისიების შექმნის შესახებ;
13. დაუშვებელია სააპელაციო კომისია შედგებოდეს იმ პირებისგან, რომლებსაც მონაწილეობა აქვთ მიღებული შემფასებელ კომისიაში.
14. არაუგვიანეს 2024 წლის 4 სექტემბრისა მიღებული შედეგები გაეგზავნოს რექტორს შიდასაუნივერსიტეტო შემოქმედებითი ტურის დებულებით დადგენილი პირობების შესაბამისად;
15. დაევალოს უნივერსიტეტის იურიდიულ სამსახურს, მოამზადოს წერილის პროექტი სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში კონკურსის შედეგების გაგზავნის მიზნით, არაუგვიანეს 2024 წლის 4 სექტემბრისა.
16. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის გაცნობა დაინტერესებულ პირთათვის.
17. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის საჯარო წესით გაცნობა თვალსაჩინო ადგილზე ბრძანების გამოკვრის გზით;
18. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, უნივერსიტეტის კანცელარიას, დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურს.

ნინო მატარაძე

დეკანი